საქართველოს მთავრობის განკარგულება

№934 2016 წლის 27 მაისი ქ. თბილისი

სს „ქართული ფილმის“ მხარდასაჭერად საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ შესაბამისი ღონისძიებების განხორციელების შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის თანახმად, სს „ქართული ფილმის“ მიერ მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმის - „იმედის ბორცვის“ გადაღების მიზნით, საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ განახორციელოს სს „ქართული ფილმისათვის“ (ს/კ: №202054196) სათანადო დახმარების გაწევა და სს „ქართული ფილმის“ მიერ 320 (სამას ოცი) ლარის სანაცვლოდ (მიმღები: სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, მიმღების ანგარიში: 200122900, სახაზინო კოდი: 302006500) №1 დანართით განსაზღვრული რესურსებით უზრუნველყოფა.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი

დანართი N1

1. 7.62x39 მმ ავტომატი "АКМ" - 16 (თექვსმეტი) ერთეული;
2. 7.62x39 მმ ავტომატი "АКМ" -ის ფუჭი სროლის მილისი- 16 (თექვსმეტი) ცალი;
3. 7.62X39 მმ მჭიდი -50 (ორმოცდაათი) ცალი;
4. 7.62x54 მმ სნაიპერული შაშხანა "СВД"- 1 (ერთი) ერთეული;
5. 7.62X39 მმ ვაზნა ფუჭი - 300 (სამასი) ცალი;
6. 9X18 მმ პისტოლეტი "ПМ" -5 (ხუთი) ცალი;
7. 9X18 მმ პისტოლეტი "ПМ"-ის მჭიდი -5 (ხუთი) ცალი;
8. 9X18 მმ პისტოლეტი "ПМ"-ის კაბურა -5 (ხუთი) ცალი;
9. 26 მმ სასიგნალო პისტოლეტი "СПШ" - 2 (ორი) ცალი;
10. 26 მმ სასიგნალო მაშხალა - 6 (ექვსი) ცალი;
11. ხიშტ-დანა-10 (ათი) ცალი;
12. განტვირთვის ჟილეტი- 7 (შვიდი) ცალი;
13. შარვალი- 30 (ოცდათი) ცალი;
14. ფეხსაცმელი მაღალყელიანი -30 (ოცდაათი) წყვილი;
15. ქუდი - 30 (ოცდაათი) ცალი;
16. მათარა ჩიხოლით- 30 (ოცდაათი) ცალი;
17. ჯავშანჟილეტი - 7 (შვიდი) ცალი;
18. კასკა - 10 (ათი) ცალი;
19. საველე რაცია- 1 (ერთი) ცალი;
20. ჯავშანმანქანა "ბტრ-80" – 1 (ერთი) ცალი;
21. ფოთლოვანი შესანიღბი ბადე - 1(ერთი) ცალი.